<u>პროექტი</u>

საქართველოს კანონი
საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში
ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №31, 2009 წელი, მუხ. 190) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. 37-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) შესაბამის ორგანოს მისცეს წერილობითი მითითება დაკავებულთა, საპატიმრო უზრუნველყოფით გადაადგილების შეზღუდვის ქვეშ მყოფთა და დაპატიმრებულთა გამოძიების ადგილზე მიყვანის შესახებ;“;

2. 86-ე მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ამ კოდექსით დადგენილი ვადები გამოითვლება საათებით, დღე-ღამეებით, თვეებით. ვადის გამოთვლისას მხედველობაში არ მიიღება ის დღე-ღამე და ის საათი, რომლებითაც იწყება ვადის დინება, გარდა დაკავების, გადაადგილების შეზღუდვისა (რაც დაკავშირებულია დღე-ღამის განმავლობაში 18 საათით ან მეტი ვადით საცხოვრებელი ადგილიდან გასვლის აკრძალვასთან) და პატიმრობის ვადებისა, რომლებიც გამოითვლება წუთებით.“;

3. 87-ე მუხლის მე-3 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. სასამართლოს გადაწყვეტილებით ვადა, გარდა დაკავების, გადაადგილების შეზღუდვისა (რაც დაკავშირებულია დღე-ღამის განმავლობაში 18 საათით ან მეტი ვადით საცხოვრებელი ადგილიდან გასვლის აკრძალვასთან) და პატიმრობის ვადებისა, გაცდენილად არ ჩაითვლება, თუ იგი გაცდენილია დაუძლეველი ძალის (ფორსმაჟორის) გამო.“;

4. 167-ე მუხლის მე-5 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს პარლამენტის წევრის, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის, საქართველოს უზენაესი სასამართლოს წევრის, საქართველოს საერთო სასამართლოს სხვა მოსამართლის, გენერალური აუდიტორის, საქართველოს სახალხო დამცველის, სპეციალური საგამოძიებო სამსახურის უფროსის, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსის, დიპლომატიური იმუნიტეტის მქონე პირის, აგრეთვე სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს იმ წარმომადგენლის, რომელიც თავისი უფლებამოსილების განხორციელებისას სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წესდების შესაბამისად სარგებლობს იმუნიტეტით, სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის, დაპატიმრების, გადაადგილების შეზღუდვისა (რაც დაკავშირებულია დღე-ღამის განმავლობაში 18 საათით ან მეტი ვადით საცხოვრებელი ადგილიდან გასვლის აკრძალვასთან) და მათ მიმართ სისხლის სამართლის საპროცესო იძულების სხვა ღონისძიების გამოყენების განსაკუთრებულ წესს განსაზღვრავს საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებები, ეს კოდექსი და საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტები.“;

5. 171-ე მუხლის მე-2 ნაწილს დაემატოს შემდეგი შინაარსის „თ“ ქვეპუნქტი:
„თ) პირმა დაარღვია მის მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიება - გადაადგილების შეზღუდვა (რაც დაკავშირებულია დღე-ღამის განმავლობაში 18 საათით ან მეტი ვადით საცხოვრებელი ადგილიდან გასვლის აკრძალვასთან) და არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ ის მიიმალება ან არ გამოცხადდება სასამართლოში, გაანადგურებს საქმისათვის მნიშვნელოვან ინფორმაციას ან ჩაიდენს ახალ დანაშაულს.“;

6. 174-ე მუხლის მე-6 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„6. დაკავების ვადა ითვლება ბრალდებულის გადაადგილების შეზღუდვისა (რაც დაკავშირებულია დღე-ღამის განმავლობაში 18 საათით ან მეტი ვადით საცხოვრებელი ადგილიდან გასვლის აკრძალვასთან) და პატიმრობის ვადაში.“;

7. 199-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„**მუხლი 199. აღკვეთის ღონისძიების სახეები**

1. აღკვეთის ღონისძიების სახეებია: შეთანხმება გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ, პირადი თავდებობა, სამხედრო მოსამსახურის ქცევისადმი სარდლობის მეთვალყურეობა, გირაო, გადაადგილების შეზღუდვა და პატიმრობა.

2. აღკვეთის ღონისძიებასთან ერთად ბრალდებულის მიმართ შეიძლება აგრეთვე გამოყენებულ იქნეს: ვალდებულება, დანიშნულ დროს ან გამოძახებისთანავე გამოცხადდეს სასამართლოში; გარკვეული საქმიანობის ან პროფესიის განხორციელების აკრძალვა; სასამართლოში, საგამოძიებო ან სხვა სახელმწიფო ორგანოში ყოველდღიურად ან სხვა პერიოდულობით გამოცხადებისა და ანგარიშგების ვალდებულება; სასამართლოს მიერ დანიშნული უწყების ზედამხედველობა; ვალდებულება გარკვეულ ადგილას ყოფნისა გარკვეულ საათებში ან უამისოდ; გარკვეული ადგილის დატოვების ან მასში შესვლის აკრძალვა; სპეციალური ნებართვის გარეშე გარკვეულ პირებთან შეხვედრის აკრძალვა; პასპორტის ან პირადობის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტის ჩაბარების ვალდებულება; იარაღის ჩამორთმევის ვალდებულების დაკისრება; დაზარალებულთან, მის სამსახურთან და სხვა იმ ადგილებთან, სადაც დაზარალებული იმყოფება მიახლოების აკრძალვა; საზღვრის კვეთის აკრძალვა, სასამართლოს მიერ განსაზღვრული ნებისმიერი სხვა ღონისძიება, რომელიც აუცილებელია აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზნების მისაღწევად.

3. თუ პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაწყებულია ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის ან ოჯახური დანაშაულის ბრალდებით, სასამართლო მხარის შუამდგომლობით ან საკუთარი ინიციატივით აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საკითხთან ერთად პრიორიტეტულად განიხილავს ბრალდებულისათვის იარაღის ჩამორთმევის ვალდებულების დაკისრების ან/და დაზარალებულთან, მის სამსახურთან და სხვა იმ ადგილებთან, სადაც დაზარალებული იმყოფება, მიახლოების აკრძალვის საკითხს. ამ სახის ბრალდების საქმეებზე, აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საკითხის გადაწყვეტისას მოსამართლე მხედველობაში იღებს „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ რისკების შეფასების კითხვარს, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

4. აღკვეთის ღონისძიებასთან ერთად ბრალდებულის მიმართ ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ღონისძიების - გარკვეულ საათებში გარკვეულ ადგილას ყოფნის

ვალდებულების გამოყენებისას, თუ ამ ღონისძიების შინაარსი გულისხმობს საცხოვრებელი ადგილიდან გასვლის აკრძალვას, იგი შესაძლოა განისაზღვროს დღე-ღამის განმავლობაში 18 საათამდე ვადით.

5. ამ მუხლით გათვალისწინებული დამატებითი ღონისძიებების - გარკვეულ საათებში გარკვეულ ადგილას ყოფნის ვალდებულების ან გარკვეული ადგილის დაუტოვებლობის ან მასში შეღწევის აკრძალვის კონტროლი ხორციელდება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს (შემდგომ – დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო) მიერ.“;

8. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსს დაემატოს შემდეგი შინაარსის 204[1] მუხლი:

„**მუხლი 204[1]. გადაადგილების შეზღუდვა**

1. გადაადგილების შეზღუდვა ნიშნავს ბრალდებულისთვის პროკურორის ნებართვის გარეშე საცხოვრებელი ადგილიდან გასვლის, გარკვეული ადგილის, მათ შორის, კონკრეტული ადმინისტრაციული საზღვრებით შემოფარგლული ტერიტორიის, დატოვების ან მასში შესვლის აკრძალვას ან/და დაზარალებულის სამსახურთან და სხვა იმ ადგილებთან, სადაც დაზარალებული იმყოფება მიახლოების აკრძალვას.

2. გადაადგილების შეზღუდვა გამოიყენება მხოლოდ მაშინ, თუ ბრალდებულის მიმალვის, მის მიერ მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ან მტკიცებულებების მოპოვებისთვის ხელის შეშლის ანდა მის მიერ ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხე თავიდან ვერ იქნება აცილებული სხვა, ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიებით და თუ იმავდროულად ბრალდებულის მკაცრი იზოლაცია პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებით აუცილებელი არ არის აღკვეთის ღონისძიების მიზნების მისაღწევად.

3. პროკურორმა აღკვეთის ღონისძიების შეფარდების შუამდგომლობაში, ხოლო სასამართლომ შესაბამის განჩინებაში უნდა მიუთითოს გადაადგილების შეზღუდვის შინაარსი და დრო.

4. ბრალდებულის მიმართ გადაადგილების შეზღუდვა შეიძლება გამოყენებულ იქნეს დღე-ღამის განმავლობაში ან დღე-ღამის გარკვეულ პერიოდში.

5. გადაადგილების შეზღუდვის შინაარსისა და დროის საკითხის გადაწყვეტისას სასამართლო ამ კოდექსის 198-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებულ გარემოებებთან ერთად ასევე ითვალისწინებს ბრალდებულის საქმიანობას, სასწავლო პროცესში ჩართულობას, ჯანმრთელობის მდგომარეობას და აღნიშნულიდან გამომდინარე სამედიცინო საჭიროებებს, რწმენისა და აღმსარებლობის უფლების განხორციელების თავისებურებებს, გამომძიებელთან, პროკურორთან, სასამართლოში გამოცხადების აუცილებლობას და სხვა გარემოებებს.

6. გადაადგილების შეზღუდვა არ გამოიყენება განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისთვის ბრალდებული პირის მიმართ, გარდა ხანდაზმულობას მიღწეული პირისა (ქალი – 65 წლიდან, მამაკაცი – 70 წლიდან), რომელსაც ბრალი წაყენებული აქვს არაძალადობრივი დანაშაულისათვის.

7. გადაადგილების შეზღუდვა არ შეიძლება შეეფარდოს ბრალდებულს, რომელიც არის სამხედრო სავალდებულო, საკონტრაქტო (პროფესიული) ან სამხედრო სარეზერვო სამსახურის მოსამსახურე.

8. გადაადგილების შეზღუდვის (რაც დაკავშირებულია დღე-ღამის განმავლობაში 18 საათით ან მეტი ვადით საცხოვრებელი ადგილიდან გასვლის აკრძალვასთან) ვადა წინასასამართლო სხდომამდე არ უნდა აღემატებოდეს ბრალდებულის დაკავებიდან, ხოლო თუ დაკავება არ მომხდარა – ამ აღკვეთის ღონისძიების შერჩევის შესახებ სასამართლოს განჩინების აღსრულების მომენტიდან 60 დღეს. ამ ვადის გასვლის შემდეგ აღნიშნული აღკვეთის ღონისძიება უნდა გაუქმდეს ან შეიცვალოს, გარდა ამ კოდექსის 208-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევისა. გადაადგილების შეზღუდვის (რაც დაკავშირებულია დღე-ღამის განმავლობაში 18 საათით ან მეტი ვადით საცხოვრებელი ადგილიდან გასვლის აკრძალვასთან) და პატიმრობის საერთო ვადა წინასასამართლო სხდომამდე არ უნდა აღემატებოდეს ბრალდებულის დაკავებიდან 60 დღეს.

9. გადაადგილების შეზღუდვის კონტროლი ხორციელდება დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს მიერ ელექტრონული მონიტორინგის საშუალებით.

10. ბრალდებულის გადაადგილების შეზღუდვის (რაც დაკავშირებულია დღე-ღამის განმავლობაში 18 საათით ან მეტი ვადით საცხოვრებელი ადგილიდან გასვლის აკრძალვასთან) საერთო ვადა არ უნდა აღემატებოდეს 9 თვეს. ბრალდებულის გადაადგილების შეზღუდვის (რაც დაკავშირებულია დღე-ღამის განმავლობაში 18 საათით ან მეტი ვადით საცხოვრებელი ადგილიდან გასვლის აკრძალვასთან) ვადა აითვლება მისი დაკავების მომენტიდან, ხოლო თუ დაკავება არ მომხდარა – ამ აღკვეთის ღონისძიების შერჩევის შესახებ სასამართლოს განჩინების აღსრულების მომენტიდან საქმის არსებითად განმხილველი პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ განაჩენის გამოტანამდე. სასამართლოს განჩინება ექვემდებარება დაუყოვნებლივ აღსრულებას.

11. გადაადგილების შეზღუდვის (რაც დაკავშირებულია დღე-ღამის განმავლობაში 18 საათით ან მეტი ვადით საცხოვრებელი ადგილიდან გასვლის აკრძალვასთან) და პატიმრობის საერთო ვადა არ უნდა აღემატებოდეს 9 თვეს.

12. სასამართლო პროკურორის შუამდგომლობით ან საკუთარი ინიციატივით, უფლებამოსილია გადაადგილების შეზღუდვის გამოყენების უზრუნველყოფის მიზნით პატიმრობა შეუფარდოს ბრალდებულს, რომლის მიმართაც გამოყენებულია დაკავება სისხლის საპროცესო სამართლებრივი იძულების ღონისძიების სახით, მის მიერ ელექტრონული მონიტორინგის საშუალების სრული ღირებულების დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს სადეპოზიტო ანგარიშზე განთავსებამდე.“;

9. 205-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. პატიმრობის საერთო ვადა არ უნდა აღემატებოდეს 9 თვეს. ამ ვადის გასვლის შემდეგ ბრალდებული უნდა გათავისუფლდეს პატიმრობიდან. ბრალდებულის პატიმრობის ვადა აითვლება მისი დაკავების მომენტიდან, ხოლო თუ დაკავება არ მომხდარა – ამ აღკვეთის ღონისძიების შერჩევის შესახებ სასამართლოს განჩინების აღსრულების მომენტიდან საქმის არსებითად განმხილველი პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ განაჩენის გამოტანამდე. პატიმრობისა და გადაადგილების შეზღუდვის (რაც დაკავშირებულია დღე-ღამის განმავლობაში 18 საათით ან მეტი ვადით საცხოვრებელი ადგილიდან გასვლის აკრძალვასთან) საერთო ვადა არ უნდა აღემატებოდეს 9 თვეს.

3. პატიმრობის საერთო ვადა წინასასამართლო სხდომამდე არ უნდა აღემატებოდეს ბრალდებულის დაკავებიდან 60 დღეს. ამ ვადის გასვლის შემდეგ ბრალდებული უნდა გათავისუფლდეს პატიმრობიდან, გარდა ამ კოდექსის 208-ე მუხლის მე-3 ნაწილით

გათვალისწინებული შემთხვევისა. პატიმრობისა და გადაადგილების შეზღუდვის (რაც დაკავშირებულია დღე-ღამის განმავლობაში 18 საათით ან მეტი ვადით საცხოვრებელი ადგილიდან გასვლის აკრძალვასთან) საერთო ვადა წინასასამართლო სხდომამდე არ უნდა აღემატებოდეს ბრალდებულის დაკავებიდან 60 დღეს.“;

10. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსს დაემატოს შემდეგი შინაარსის 205[1] მუხლი:

„**205[1] მუხლი. ელექტრონული მონიტორინგი**

1. ელექტრონული მონიტორინგი არის აღკვეთის ღონისძიების - გადაადგილების შეზღუდვის აღსრულების უზრუნველყოფის მექანიზმი, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება ბრალდებულის ქცევის კონტროლი. ელექტრონული მონიტორინგი შეიძლება ასევე გამოყენებული იქნეს ამ კოდექსის 199-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დამატებითი ღონისძიებების - გარკვეულ საათებში გარკვეულ ადგილას ყოფნის ვალდებულების ან გარკვეული ადგილის დაუტოვებლობის ან მასში შეღწევის აკრძალვის აღსასრულების უზრუნველსაყოფად.

2. ელექტრონულ მონიტორინგს ახორციელებს დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო.

3. ელექტრონული მონიტორინგი აღსრულდება საქართველოს იუსტიციის მინისტრის მიერ განსაზრვრული ელექტრონული საშუალებების გამოყენებით.

4. ბრალდებულის მიერ ელექტრონული საშუალების დამაგრებაზე უარის თქმის ან სხვაგვარად თავის არიდების, სასამართლოს განჩინებით განსაზღვრული საცხოვრებელი ადგილიდან გაქცევის, აგრეთვე ელექტრონული მონიტორინგის მოწყობილობის ბრალეულად დაზიანების ან განადგურების ან ბრალდებულის მიერ სხვა იმგვარი ბრალეული ქმედების განხორციელების შემთხვევაში, რომლის შედეგადაც შეუძლებელი გახდა ელექტრონული მონიტორინგის განხორციელება, პროკურორის შუამდგომლობის საფუძველზე ბრალდებულის მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება შეიცვლება უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიებით. ელექტრონული მონიტორინგის მოწყობილობის დაზიანების ან განადგურების შედეგად მიყენებული ზიანის საფასური გადაირიცხება დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს ანგარიშზე. ბრალდებულის მიერ ელექტრონული მონიტორინგის საშუალების დაზიანება ან განადგურება, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ოდენობის ზიანის გამოწვევის შემთხვევაში, გამოიწვევს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას.

5. გადაადგილების შეზღუდვის, აგრეთვე ამ კოდექსის 199-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დამატებითი ღონისძიებების - გარკვეულ საათებში გარკვეულ ადგილას ყოფნის ვალდებულების ან გარკვეული ადგილის დაუტოვებლობის ან მასში შეღწევის აკრძალვის (როდესაც ეს ღონისძიებები დაკავშირებულია ელექტრონული მონიტორინგის მეშვეობით აღსრულებასთან) შერჩევის შესახებ განჩინებაში შესაძლოა მიეთითოს ელექტრონული მონიტორინგის საშუალების დაზიანებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების უზრუნველყოფის ღონისძიებები, რა დროსაც მხედველობაში მიიღება ბრალდებულის ქონებრივი მდგომარეობა ელექტრონული მონიტორინგის საშუალების დაზიანებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების უზრუნველყოფის ღონისძიებები და მათი გამოყენების წესი განისაზღვრება საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით. დაუშვებელია ზიანის ანაზღაურების უზრუნველყოფის საშუალებების გამოყენება არასრულწლოვანი ბრალდებულის, აგრეთვე სრულწლოვანი

გადახდისუუნარო ბრალდებულის მიმართ ელექტრონული მონიტორინგის ღირებულების დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს სადეპოზიტო ანგარიშზე განთავსების ვალდებულების გამოყენება. მინისტრის ბრძანებით ელექტრონული მონიტორინგის საშუალების დაზიანებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების უზრუნველყოფის ღონისძიებები უნდა განისაზღვროს იმგვარად, რომ მასზე ხელმისაწვდომობა გაუმართლებლად არ ეზღუდებოდეთ ქონებრივი შესაძლებლობების არმქონე პირებს. ელექტრონული მონიტორინგის საშუალების დაზიანებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების უზრუნველყოფის ღონისძიებად ელექტრონული მონიტორინგის საშუალების ღირებულების დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს სადეპოზიტო ანგარიშზე განთავსების ვალდებულების გამოყენების შემთხვევაში, მისი აღსრულება უნდა მოხდეს ამ კოდექსითა და მინისტრის ბრძანებით დადგენილი წესით.

6. ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით საპატიმრო უზრუნველყოფის გარეშე გადაადგილების შეზღუდვის, აგრეთვე ამ კოდექსის 199-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დამატებითი ღონისძიებების - გარკვეულ საათებში გარკვეულ ადგილას ყოფნის ვალდებულების ან გარკვეული ადგილის დაუტოვებლობის ან მასში შეღწევის აკრძალვის (როდესაც ეს ღონისძიებები დაკავშირებულია ელექტრონული მონიტორინგის მეშვეობით აღსრულებასთან) გამოყენების შესახებ შუამდგომლობაში პროკურორი მიუთითებს ელექტრონული მონიტორინგის საშუალების ღირებულების შეტანის აუცილებლობას და ვადას. ელექტრონული მონიტორინგის საშუალების ღირებულების შეტანის ვადას განსაზღვრავს მოსამართლე, რა დროსაც სხვა გარემოებებთან ერთად მხედველობაში იღებს ბრალდებულის ქონებრივ შესაძლებლობებს. ელექტრონული მონიტორინგის საშუალების ღირებულების შეტანის ვადა არ უნდა აღემატებოდეს განჩინების გამოტანიდან 5 დღეს.

7. დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს სადეპოზიტო ანგარიშზე ელექტრონული მონიტორინგის საშუალების ღირებულება შეაქვს ბრალდებულს ან მისი სახელით ან მის სასარგებლოდ სხვა პირს.

8. ელექტრონული მონიტორინგის საშუალების ღირებულების შეტანის წინ მის შემტანს აფრთხილებენ ელექტრონული მონიტორინგის საშუალების დაზიანების, განადგურების, დაკარგვის ან სხვაგვარი ქმედებისთვის, რაც შეუძლებელს ხდის ელექტრონული მონიტორინგის საშუალების მოძიებას, მოსალოდნელი შედეგების შესახებ. აღნიშნულის თაობაზე დგება ოქმი, რომლის ერთი ასლი გადაეცემა თანხის შემტანს.

9. ელექტრონული მონიტორინგის საშუალების ღირებულების შეტანას ადასტურებს სასამართლო ან პროკურორი.

10. თუ ბრალდებულმა, რომლის მიმართაც ხორციელდება ელექტრონული მონიტორინგი, ბრალეულად დააზიანა, გაანადგურა ან დაკარგა ელექტრონული მონიტორინგის საშუალება ან როდესაც ელექტრონული მონიტორინგის საშუალების მოძიება სხვაგვარად შეუძლებელია, აღნიშნული საშუალების საფასური, ზიანის ოდენობის პროპორციულად, გადაირიცხება დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს ანგარიშზე.

11. თუ ბრალდებულის სასარგებლოდ ელექტრონული მონიტორინგის საშუალების ღირებულების შემტანი საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე ან აღკვეთის ღონისძიების - გადაადგილების შეზღუდვის ვადის ამოწურვამდე წერილობით მიმართავს

შესაბამისად პროკურორს ან სასამართლოს, რომ იგი ვერ უზრუნველყოფს ბრალდებულის სათანადო ქცევასა და აღკვეთის ღონისძიების პირობების შესრულებას და მოითხოვს ელექტრონული მონიტორინგის საშუალების ღირებულების დაბრუნებას, მას 1 თვის ვადაში სრულად დაუბრუნდება შეტანილი ფულადი თანხა, ხოლო ბრალდებულის მიმართ, აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზნებისა და საფუძვლების ხელახალი შეფასების შედეგად, პროკურორის შუამდგომლობით შეიძლება შეირჩეს უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიება.

12. ელექტრონული მონიტორინგის საშუალებით გადაადგილების შეზღუდვის ან ამ კოდექსის 199-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დამატებითი ღონისძიებების - გარკვეულ საათებში გარკვეულ ადგილას ყოფნის ვალდებულების ან გარკვეული ადგილის დაუტოვებლობის ან მასში შეღწევის აკრძალვის აღსრულებისათვის წესდება საფასური, რომელიც წარმოადგენს გადაადგილების შეზღუდვის/დამატებითი ღონისძიებების აღსრულების მიზნით ელექტრონული მონიტორინგის გამოყენების ვადის განმავლობაში ბრალდებულის ყოველთვიურ, სავალდებულო გადასახდელს. ყოველთვიური გადასახდელის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს თვეში 100 ლარს.

13. დადგენილ ვადაში ელექტრონული მონიტორინგის საშუალებით გადაადგილების შეზღუდვის ან ამ კოდექსის 199-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული შესაბამისი დამატებითი ღონისძიებების აღსრულებისათვის დაწესებული ყოველთვიური გადასახდელის გადაუხდელობის შემთხვევაში პროკურორი აფრთხილებს ბრალდებულს შესაძლო შედეგების შესახებ და განუსაზღვრავს მას გადასახდელის გადახდის დამატებით ვადას, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 1 თვეს. ბრალდებულის მიერ აღნიშნულ ვადაში გადასახდელის გადაუხდელობის შემთხვევაში პროკურორი უფლებამოსილია სასამართლოს მიმართოს შუამდგომლობით უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენების თაობაზე.

14. ბრალდებულის მიმართ ელექტრონული მონიტორინგის განხორციელების წესი, ელექტრონული მონიტორინგის საშუალების ღირებულება და მისი გადახდის წესი, ყოველთვიური სავალდებულო გადასახდელის ოდენობა და გადახდის წესი, ელექტრონული მონიტორინგის საშუალების ღირებულებისა და ყოველთვიური გადასახდელის გადახდისაგან გათავისუფლების შემთხვევები, ელექტრონული მონიტორინგის განხორციელებისას პერსონალური მონაცემების დამუშავებისა და შენახვის წესი, აგრეთვე ელექტრონული მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებული სხვა საკითხები დგინდება საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით.

15. მოსამართლის მიერ ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გადაადგილების შეზღუდვის, აგრეთვე ამ კოდექსის 199-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული შესაბამისი დამატებითი ღონისძიებების გამოყენების (როდესაც ეს დაკავშირებულია ელექტრონული მონიტორინგის მეშვეობით აღსრულებასთან) შესახებ გადაწყვეტილების მიღებისთანავე, პროკურორი ან პროკურორის დავალებით გამომძიებელი დაუყოვნებლივ მიმართავს დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს შესაბამის ტერიტორიულ ორგანოს აღნიშნული ღონისძიების აღსრულების უზრუნველსაყოფად ბრალდებულის მიმართ ელექტრონული მონიტორინგის გამოყენების თაობაზე. ბრალდებული ვალდებულია სასამართლოს მიერ განსაზღვრულ გონივრულ ვადაში, დაყოვნების გარეშე გამოცხადდეს სასამართლოს განჩინებაში მითითებულ საცხოვრებელ ადგილას ელექტრონული მონიტორინგის აღსასრულებლად აუცილებელი ღონისძიებების განსახორციელებლად.

16. ბრალდებულის მიერ, რომლის მიმართაც სასამართლოს განჩინებით გადაადგილების შეზღუდვა (რაც დაკავშირებულია დღე-ღამის განმავლობაში საცხოვრებელი ადგილიდან გასვლის

აკრძალვასთან) გამოყენებულია პატიმრობის უზრუნველყოფით, ელექტრონული მოწყობილობის საფასურის გადახდის შემდეგ, მის ტრანსპორტირებას საპატიმრო დაწესებულებიდან განჩინებაში მითითებულ საცხოვრებელ ადგილამდე ელექტრონული მონიტორინგის განხორციელების დასაწყებად უზრუნველყოფს სპეციალური პენიტენციური სამსახური.

17. გადაადგილების შეზღუდვა, რომელიც დაკავშირებულია საცხოვრებელი ადგილიდან გასვლის აკრძალვასთან, აგრეთვე ამ კოდექსის 199-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დამატებითი ღონისძიება - გარკვეულ საათებში გარკვეულ ადგილას ყოფნის ვალდებულება, თუ ამ ღონისძიების შინაარსი გულისხმობს საცხოვრებელი ადგილიდან გასვლის აკრძალვას და დაკავშირებულია ელექტრონული მონიტორინგის მეშვეობით აღსრულებასთან, შეიძლება აღსრულდეს საცხოვრებელ ადგილას, რომელიც იმყოფება ბრალდებულის საკუთრებაში ან მართლზომიერ მფლობელობაში. თუ ბრალდებული არ არის საცხოვრებელი ადგილის მესაკუთრე, აღნიშნული აღკვეთის ღონისძიების/დამატებითი ღონისძიების აღსრულება ასეთ საცხოვრებელ ადგილას დასაშვებია იმ შემთხვევაში, თუ ბრალდებული რეგისტრირებულია და ფაქტობრივად ცხოვრობს მითითებულ საცხოვრებელ ადგილას ან თუ მოცემულ საცხოვრებელ ადგილას პირის მართლზომიერად ცხოვრების ფაქტი დასტურდება სხვა გარემოებებით. თუ საცხოვრებელ ადგილას ბრალდებულის გარდა მართლზომიერ საფუძველზე ცხოვრობს სხვა პირიც, მაშინ ელექტრონული მონიტორინგის ამ საცხოვრებელ ადგილას განსახორციელებლად მოსამართლემ შეიძლება გაითვალისწინოს მისი პოზიციაც. ბრალდებულის საკუთრებაში ან მფლობელობაში რამდენიმე საცხოვრებელი ადგილის არსებობის შემთხვევაში, მხედველობაში მიიღება საცხოვრებელ ადგილას გონივრული ვადით დაუბრკოლებლად ცხოვრების შესაძლებლობა, სასამართლო პროცესებზე გამოცხადებისთვის აუცილებელი დროის ხანგრძლივობა, გეოგრაფიული ადგილმდებარეობა და სხვა ობიექტური გარემოებები. საცხოვრებელ ადგილას მართლზომიერად ყოფნის საფუძვლის შეწყვეტის შემდეგ ბრალდებული ვალდებულია უზრუნველყოს აღკვეთის ღონისძიების/დამატებითი ღონისძიების სხვა საცხოვრებელ ადგილას აღსრულების შესაძლებლობა. ბრალდებულის მხრიდან სხვა საცხოვრებელი ადგილის წარმოუდგენლობის შემთხვევაში, პროკურორი უფლებამოსილია მიმართოს სასამართლოს აღკვეთის ღონისძიების შეცვლის შუამდგომლობით.

18. გადაადგილების შეზღუდვის, აგრეთვე ამ კოდექსის 199-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული შესაბამისი დამატებითი ღონისძიებების გამოყენებისას (როდესაც ეს დაკავშირებულია ელექტრონული მონიტორინგის მეშვეობით აღსრულებასთან), საპატიო გარემოების არსებობისას ბრალდებულის მიერ მოსამართლის განჩინებით განსაზღვრული საცხოვრებელი ადგილის ან გარკვეული ადგილის, მათ შორის, კონკრეტული ადმინისტრაციული საზღვრებით შემოფარგლული ტერიტორიის დროებით დატოვების, ასევე, გარკვეულ ადგილას შესვლის შესახებ დროებით ნებართვას გასცემს პროკურორი. პროკურორმა აღნიშნულის თაობაზე წინასწარ უნდა აცნობოს დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნულ სააგენტოს. აღნიშნულ დროებით ნებართვაში უნდა მიეთითოს კონკრეტული საცხოვრებელი ადგილის ან სხვა ადგილის დატოვების ან გარკვეულ ადგილას, მათ შორის, კონკრეტული ადმინისტრაციული საზღვრებით შემოფარგლულ ტერიტორიაზე შესვლის დრო. დროებითი ნებართვის ვადის დარღვევა წარმოადგენს აღკვეთის ღონისძიების დარღვევას. ასეთ შემთხვევაში პროკურორი უფლებამოსილია მიმართოს სასამართლოს ბრალდებულის მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიებით შეცვლის

მოთხოვნით. დროებითი ნებართვის გაცემის მიზნებისთვის საპატიო გარემოებად შეიძლება ჩაითვალოს:

ა) ბრალდებულის ჯანმრთელობის ისეთი მდგომარეობა, რომელიც შეუძლებელს ხდის დადგენილი რეჟიმის შესრულებას, რასაც ადასტურებს ექიმის მიერ გაცემული შესაბამისი ცნობა;

ბ) ბრალდებულის ახლო ნათესავის ან ოჯახის წევრის გარდაცვალება;

გ) ბრალდებულის სამსახურებრივ ან პროფესიულ, ანდა სპორტულ, კულტურულ ან საგანმანათლებლო ან სამეცნიერო საქმიანობასთან დაკავშირებული მივლინება ან გადაადგილების სხვაგვარი ობიექტური საჭიროება, რომელიც ხორციელდება საქართველოს ტერიტორიაზე და რომლის ხანგრძლივობა არ აღემატება 24 საათს, რასაც ადასტურებს შესაბამისი დოკუმენტი;

დ) ბრალდებულის მონაწილეობა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით დადგენილ საგამოძიებო ან/და საპროცესო მოქმედებებში, აგრეთვე სამართალდამცავი ორგანოების „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ საქმიანობაში, რასაც ადასტურებს შესაბამისი დოკუმენტი.

19. აღკვეთის ღონისძიების დარღვევად არ ჩაითვლება, თუ მოსამართლის განჩინებით განსაზღვრული საცხოვრებელი ადგილის ან გარკვეული ადგილის, მათ შორის, კონკრეტული ადმინისტრაციული საზღვრებით შემოფარგლული ტერიტორიის, დროებით დატოვება, ან გარკვეულ ადგილას შესვლა მოხდა ბრალდებულისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, დაუძლეველი ძალის (ფორსმაჟორის) არსებობისას, მათ შორის, სტიქიური უბედურების, ავარიის, ხანძრის, მასობრივი არეულობის, სამხედრო მოქმედების, კარანტინის ან საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შემთხვევაში, რასაც ადასტურებს შესაბამისი სახელმწიფო დაწესებულების მიერ გაცემული დოკუმენტი. ბრალდებული ვალდებულია პირველივე შესაძლებლობისთანავე აცნობოს აღნიშნული გარემოების შესახებ დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნულ სააგენტოს და პროკურორს. ამ ნაწილით განსაზღვრული გარემოების დამადასტურებელ დოკუმენტს, სადაც ეს შესაძლებელია, ბრალდებული პირველი შესაძლებლობისთანავე, მაგრამ არაუგვიანეს 5 დღისა, წარუდგენს პროკურორსა და დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნულ სააგენტოს. პროკურორი აცნობებს დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნულ სააგენტოს გარემოების საპატიოდ მიჩნევასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილების შესახებ.

20. გადაადგილების შეზღუდვის, აგრეთვე ამ კოდექსის 199-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დამატებითი ღონისძიებების - გარკვეულ საათებში გარკვეულ ადგილას ყოფნის ვალდებულების ან გარკვეული ადგილის დაუტოვებლობის ან მასში შეღწევის აკრძალვის (როდესაც ეს ღონისძიებები დაკავშირებულია ელექტრონული მონიტორინგის მეშვეობით აღსრულებასთან) აღსრულება შეჩერდება თუ ბრალდებული მოთავსდა თავისუფლების შეზღუდვის, პატიმრობის ან თავისუფლების აღკვეთის შესაბამის დაწესებულებაში, ამ დაწესებულებებში მოთავსების ვადით.

21. გადაადგილების შეზღუდვის, აგრეთვე ამ კოდექსის 199-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დამატებითი ღონისძიების - გარკვეულ საათებში გარკვეულ ადგილას ყოფნის ვალდებულების (თუ ამ ღონისძიების შინაარსი გულისხმობს საცხოვრებელი ადგილიდან გასვლის აკრძალვას) მოქმედების პერიოდში საცხოვრებელი ადგილის შეცვლის პატივსადები საფუძვლის არსებობისას, ბრალდებულს ან მის ადვოკატს უფლება აქვთ მიმართონ აღკვეთის ღონისძიების

გამოყენების შესახებ განჩინების მიმღებ სასამართლოს, ხოლო საქმის სასამართლოში განხილვისას - საქმის არსებითად განმხილველ მოსამართლეს გადაადგილების შეზღუდვის/დამატებითი ღონისძიების სხვა საცხოვრებელ ადგილას აღსრულების გაგრძელების შუამდგომლობით. მოსამართლე ამ საკითხს განიხილავს ამ კოდექსის 206-ე მუხლით დადგენილი წესით. შუამდგომლობის დაკმაყოფილების შემთხვევაში, მოსამართლე მიღებული გადაწყვეტილების შესახებ აცნობებს პროკურორსა და დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნულ სააგენტოს.

22. ბრალდებული, რომლის მიმართაც გადაადგილების შეზღუდვა გამოყენებულია პატიმრობის უზრუნველყოფის გარეშე, აგრეთვე ბრალდებული, რომლის მიმართაც გამოყენებულია ამ კოდექსის 199-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დამატებითი ღონისძიება - გარკვეულ საათებში გარკვეულ ადგილას ყოფნის ვალდებულება, თუ ამ ღონისძიების შინაარსი გულისხმობს საცხოვრებელი ადგილიდან გასვლის აკრძალვას და დაკავშირებულია ელექტრონული მონიტორინგის მეშვეობით აღსრულებასთან, ვალდებულია სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისთანავე სასამართლოს მიერ განსაზღვრულ გონივრულ ვადაში, დაყოვნების გარეშე გამოცხადდეს სასამართლოს განჩინებაში აღნიშნულ საცხოვრებელ ადგილას. აღნიშნული ვალდებულება ბრალდებულს წარმოეშვება იმ შემთხვევაშიც, როდესაც პირი თავისუფლდება მის მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების - გადაადგილების შეზღუდვის (რაც არაა დაკავშირებულია დღე-ღამის განმავლობაში საცხოვრებელი ადგილიდან გასვლის აკრძალვასთან) უზრუნველსაყოფად გამოყენებული პატიმრობიდან, აგრეთვე როდესაც პირი თავისუფლდება გირაოს უზრუნველსაყოფად გამოყენებული პატიმრობიდან, თუ გირაოსთან ერთად ბრალდებულის მიმართ გამოყენებულია ამ კოდექსის 199-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დამატებითი ღონისძიება - გარკვეულ საათებში გარკვეულ ადგილას ყოფნის ვალდებულება, რომელიც გულისხმობს საცხოვრებელი ადგილიდან გასვლის აკრძალვას და დაკავშირებულია ელექტრონული მონიტორინგის მეშვეობით აღსრულებასთან.

23. ბრალდებულს ან მის სასარგებლოდ ელექტრონული მონიტორინგის საშუალების ღირებულების შემტანს ელექტრონული მონიტორინგის გამოყენების დასრულებიდან 1 თვის ვადაში დაუბრუნდება ელექტრონული მონიტორინგის საშუალების ღირებულების სახით შეტანილი ფულადი თანხა (სრულად ან ნაწილობრივ), თუ არ მომხდარა ელექტრონული მონიტორინგის საშუალების დაზიანება, განადგურება, დაკარგვა ან თუ სხვაგვარად არ გამხდარა შეუძლებელი ელექტრონული მონიტორინგის საშუალების მოძიება.

24. ელექტრონული მონიტორინგის საშუალების ღირებულების შემტანს თანხა დაუბრუნდება საქმის განმხილველი სასამართლოს ან პროკურორის გადაწყვეტილების დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნულ სააგენტოში წარდგენის გზით.

25. თუ ბრალდებულმა, რომლის მიმართაც აღკვეთის ღონისძიებად შერჩეულია გადაადგილების შეზღუდვა (რაც დაკავშირებულია დღე-ღამის განმავლობაში 18 საათით ან მეტი ვადით საცხოვრებელი ადგილიდან გასვლის აკრძალვასთან), დაარღვია მის მიმართ შერჩეული აღკვეთის ღონისძიება, დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს შესაბამისი სტრუქტურული ერთეული ვალდებულია აღნიშნულის შესახებ დაუყოვნებლივ შეატყობინოს გამომძიებელს ან/და პროკურორს. შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილი პირი, გამომძიებლის ან პროკურორის მითითების საფუძველზე ვალდებულია მიიღოს შესაბამისი ზომები ამ ბრალდებულის კანონით დადგენილი წესით დაკავების მიზნით. პროკურორი უფლებამოსილია მიმართოს სასამართლოს

ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიებით შეცვლის მოთხოვნით. ასეთ შემთხვევაში პროკურორის შუამდგომლობის საფუძველზე ბრალდებულის მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება შეიცვლება უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიებით.";

11. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსს დაემატოს შემდეგი შინაარსის 205^2 მუხლი:

„**205^2 მუხლი. ელექტრონული ზედამხედველობა**

1. ამ კოდექსის 199-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ღონისძიება - დაზარალებულთან, მის სამსახურთან და სხვა იმ ადგილებთან, სადაც დაზარალებული იმყოფება, მიახლოების აკრძალვა ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის ან ოჯახური დანაშაულის ბრალდების საქმეებზე შეიძლება აღსრულდეს ელექტრონული ზედამხედველობის გამოყენებით. ელექტრონული ზედამხედველობა გამოიყენება დაზარალებულის თანხმობით.

2. ელექტრონული ზედამხედველობა აღსრულდება საქართველოს იუსტიციის მინისტრის მიერ განსაზრვრული ელექტრონული საშუალებების გამოყენებით.

3. საგამოძიებო ორგანოს თანამშრომელი უფლებამოსილია ელექტრონული ზედამხედველობის აღსრულების მიზნით ბრალდებული წარადგინოს დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს ტერიტორიულ ორგანოში.

4. ბრალდებულის მიმართ ელექტრონული ზედამხედველობის განხორციელების წესი დგინდება საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით, რომელიც დეტალურად განსაზღვრავს ელექტრონული ზედამხედველობის განხორციელების წესებს, მათ შორის, იმ გეოგრაფიული ზონების (ბუფერული ზონისა და საგანგაშო ზონის) პარამეტრებს, სადაც აკრძალულია დაზარალებულთან მიახლოება, ელექტრონული ზედამხედველობის განხორციელებისას პერსონალური მონაცემების დამუშავებისა და შენახვის წესს და სხვა საკითხებს.

5. ბრალდებულის მიმართ გამოყენებული ელექტრონული ზედამხედველობის აღსრულება შეჩერდება დაკავების, ადმინისტრაციული პატიმრობის, აღკვეთის ღონისძიების სახით გადაადგილების შეზღუდვის (რაც დაკავშირებულია დღე-ღამის განმავლობაში საცხოვრებელი ადგილიდან გასვლის აკრძალვასთან) ან პატიმრობის შეფარდების ან სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის გამოყენების შემთხვევაში დაკავების, ადმინისტრაციული პატიმრობის, გადაადგილების შეზღუდვის, პატიმრობის ან თავისუფლების აღკვეთის ვადით. თუ ბრალდებულის მიმართ გამოყენებული გადაადგილების შეზღუდვა დაკავშირებულია დღე-ღამის გარკვეულ პერიოდში საცხოვრებელი ადგილიდან გასვლის აკრძალვასთან, მაშინ დღე-ღამის დანარჩენ მონაკვეთში გრძელდება ბრალდებულის მიმართ გამოყენებული ელექტრონული ზედამხედველობის გამოყენება.

6. დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნულ სააგენტოში ბრალდებულის გამოუცხადებლობის ან მის მიერ ელექტრონული საშუალების დამაგრებაზე უარის თქმის ან სხვაგვარად თავის არიდების, ელექტრონული ზედამხედველობის მოწყობილობის ბრალეულად დაზიანების ან განადგურების, აგრეთვე ბრალდებულის მიერ იმგვარი ქმედების განხორციელების შემთხვევაში, რომლის შედეგადაც შეუძლებელი გახდა ელექტრონული ზედამხედველობის განხორციელება, პროკურორის შუამდგომლობის საფუძველზე ბრალდებულის მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება შეიცვლება უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიებით.

7. ელექტრონული ზედამხედველობის განხორციელებისას ბრალდებულის მიერ ელექტრონული ზედამხედველობის განხორციელების წესით განსაზღვრულ საგანგაშო ზონაში შესვლა ანდა საგანგაშო ან ბუფერული ზონის დატოვების შესახებ უფლებამოსილი პირის მოთხოვნის შეუსრულებლობა გამოიწვევს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას, აგრეთვე პროკურორის შუამდგომლობის საფუძველზე, ბრალდებულის მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება შეიცვლება უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიებით.

8. თუ დაზარალებული საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე წერილობით მიმართავს პროკურორს ელექტრონული ზედამხედველობის განხორციელების გაუქმების მოთხოვნით, მოთხოვნის დაყენებიდან არაუგვიანეს 72 საათისა პროკურორი იღებს გადაწყვეტილებას ელექტრონული ზედამხედველობის გაუქმების შესახებ და აღნიშნულს აცნობებს დაზარალებულს და დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნულ სააგენტოს. ასეთ შემთხვევაში აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზნებისა და საფუძვლების ხელახალი შეფასების შედეგად, ბრალდებულის მიმართ შეიძლება შეირჩეს უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიება.

9. ელექტრონული ზედამხედველობის აღსრულების მიზნით, ბრალდებული ვალდებულია სასამართლოს მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებისთანავე, სასამართლოს მიერ განსაზღვრულ გონივრულ ვადაში, დაყოვნების გარეშე გამოცხადდეს დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს შესაბამის ტერიტორიულ ორგანოში.“;

12. 206-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 206. აღკვეთის ღონისძიების გამოყენება, შეცვლა და გაუქმება

1. აღკვეთის ღონისძიების, აგრეთვე აღკვეთის ღონისძიების ქვეშ მყოფი პირის მიმართ დამატებითი ღონისძიებების - დაზარალებულთან, მის სამსახურთან და სხვა იმ ადგილებთან, სადაც დაზარალებული იმყოფება, მიახლოების აკრძალვის (როდესაც ეს ღონისძიება დაკავშირებულია ელექტრონული ზედამხედველობის მეშვეობით აღსრულებასთან), აგრეთვე გარკვეულ საათებში გარკვეულ ადგილას ყოფნის ვალდებულების ან გარკვეული ადგილის დაუტოვებლობის ან მასში შეღწევის აკრძალვის (როდესაც ეს ღონისძიებები დაკავშირებულია ელექტრონული მონიტორინგის მეშვეობით აღსრულებასთან) გამოყენება, შეცვლა და გაუქმება ხდება ამ კოდექსის მე-20 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული განსჯადობით. ზემოთ მითითებული საკითხების განხილვა შესაძლებელია ასევე წინასასამართლო სხდომაზე და საქმის არსებითი განხილვისას, ამ კოდექსით დადგენილი წესით.

2. აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ შუამდგომლობით პროკურორი სასამართლოს მიმართავს დაკავებიდან არა უგვიანეს 48 საათისა.

3. აღკვეთის ღონისძიების, აგრეთვე აღკვეთის ღონისძიების ქვეშ მყოფი პირის მიმართ დამატებითი ღონისძიების - დაზარალებულთან, მის სამსახურთან და სხვა იმ ადგილებთან, სადაც დაზარალებული იმყოფება, მიახლოების აკრძალვის (როდესაც ეს ღონისძიება დაკავშირებულია ელექტრონული ზედამხედველობის მეშვეობით აღსრულებასთან), აგრეთვე გარკვეულ საათებში გარკვეულ ადგილას ყოფნის ვალდებულების ან გარკვეული ადგილის დაუტოვებლობის ან მასში შეღწევის აკრძალვის (როდესაც ეს ღონისძიებები დაკავშირებულია ელექტრონული მონიტორინგის მეშვეობით აღსრულებასთან) გამოყენების შესახებ შუამდგომლობას მოსამართლე

განიხილავს მისი წარდგენიდან არა უგვიანეს 24 საათისა. აღკვეთის ღონისძიების, აგრეთვე შესაბამისი დამატებითი ღონისძიებების გამოყენების, შეცვლისა და გაუქმების საკითხები განიხილება ღია სასამართლო სხდომაზე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც არსებობს სასამართლო სხდომის დახურვის ამ კოდექსით გათვალისწინებული საფუძვლები. მოსამართლე შუამდგომლობას განიხილავს ერთპიროვნულად, მხარეთა მონაწილეობით. მოსამართლე ხსნის სასამართლო სხდომას და აცხადებს, რა შუამდგომლობა განიხილება, ასახელებს პროცესის მონაწილეებს და არკვევს, არის თუ არა აცილებები. შუამდგომლობის ავტორი ასაბუთებს მას. შემდეგ სიტყვა ეძლევა მეორე მხარეს, რის შემდეგაც მხარეები უფლებამოსილი არიან ერთმანეთს დაუსვან შეკითხვები. მხარეთა გამოუცხადებლობა არ იწვევს შუამდგომლობის განხილვის გადადებას.

4. მხარე უფლებამოსილია სასამართლოს წარუდგინოს შუამდგომლობის შემოწმებისათვის საჭირო დოკუმენტები და ინფორმაცია.

5. აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შუამდგომლობაში უნდა აისახოს ბრალდებულის საიდენტიფიკაციო მონაცემები, ბრალდების არსი, აგრეთვე ნებისმიერი ინფორმაცია თუ მტკიცებულება, რომელსაც ბრალდება ემყარება და მოთხოვნილი აღკვეთის ღონისძიება. შუამდგომლობის დასაბუთებულობისა და აღკვეთის ღონისძიების გამოყენების როგორც ფორმალური (საპროცესო), ისე ფაქტობრივი საფუძვლების შემოწმების შემდეგ მოსამართლეს გამოაქვს დასაბუთებული განჩინება. აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ შუამდგომლობის განხილვისას მოსამართლე უფლებამოსილია სათანადო საფუძვლის მითითებით უარყოს შუამდგომლობაში აღნიშნული აღკვეთის ღონისძიება და ბრალდებულს შეურჩიოს სხვა, ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიება ან საერთოდ არ გამოიყენოს აღკვეთის ღონისძიება.

6. აღკვეთის ღონისძიების ქვეშ მყოფი პირის მიმართ დამატებითი ღონისძიების - დაზარალებულთან, მის სამსახურთან და სხვა იმ ადგილებთან, სადაც დაზარალებული იმყოფება, მიახლოების აკრძალვის (როდესაც ეს ღონისძიება დაკავშირებულია ელექტრონული ზედამხედველობის მეშვეობით აღსრულებასთან), აგრეთვე გარკვეულ საათებში გარკვეულ ადგილას ყოფნის ვალდებულების ან გარკვეული ადგილის დაუტოვებლობის ან მასში შეღწევის აკრძალვის (როდესაც ეს ღონისძიებები დაკავშირებულია ელექტრონული მონიტორინგის მეშვეობით აღსრულებასთან) გამოყენების შუამდგომლობაში უნდა აისახოს ბრალდებულის საიდენტიფიკაციო მონაცემები, ბრალდების არსი, აგრეთვე ნებისმიერი ინფორმაცია თუ მტკიცებულება, რომელსაც ბრალდება ემყარება, და მოთხოვნილი დამატებითი ღონისძიება. შუამდგომლობის დასაბუთებულობისა და დამატებითი ღონისძიების გამოყენების როგორც ფორმალური (საპროცესო), ისე ფაქტობრივი საფუძვლების შემოწმების შემდეგ მოსამართლეს გამოაქვს დასაბუთებული განჩინება. დამატებითი ღონისძიების გამოყენების შესახებ შუამდგომლობის განხილვისას მოსამართლე უფლებამოსილია სათანადო საფუძვლის მითითებით უარყოს შუამდგომლობაში აღნიშნული დამატებითი ღონისძიება და არ გამოიყენოს იგი.

7. აღკვეთის ღონისძიების, აგრეთვე აღკვეთის ღონისძიების ქვეშ მყოფი პირის მიმართ დამატებითი ღონისძიების - დაზარალებულთან, მის სამსახურთან და სხვა იმ ადგილებთან, სადაც დაზარალებული იმყოფება, მიახლოების აკრძალვის (როდესაც ეს ღონისძიება დაკავშირებულია ელექტრონული ზედამხედველობის მეშვეობით აღსრულებასთან), აგრეთვე გარკვეულ საათებში გარკვეულ ადგილას ყოფნის ვალდებულების ან გარკვეული ადგილის დაუტოვებლობის ან მასში

შეღწევის აკრძალვის (როდესაც ეს ღონისძიებები დაკავშირებულია ელექტრონული მონიტორინგის მეშვეობით აღსრულებასთან) გამოყენების, შეცვლის ან გაუქმების შესახებ განჩინებაში უნდა აღინიშნოს: განჩინების შედგენის თარიღი და ადგილი, მოსამართლის, პროკურორის, ბრალდებულისა და მისი ადვოკატის ვინაობა, წარდგენილი ბრალდების არსი, მითითება აღკვეთის ღონისძიების/აღკვეთის ღონისძიების ქვეშ მყოფი პირის მიმართ დამატებითი ღონისძიების - დაზარალებულთან, მის სამსახურთან და სხვა იმ ადგილებთან, სადაც დაზარალებული იმყოფება, მიახლოების აკრძალვის (როდესაც ეს ღონისძიება დაკავშირებულია ელექტრონული ზედამხედველობის მეშვეობით აღსრულებასთან), აგრეთვე გარკვეულ საათებში გარკვეულ ადგილას ყოფნის ვალდებულების ან გარკვეული ადგილის დაუტოვებლობის ან მასში შეღწევის აკრძალვის (როდესაც ეს ღონისძიებები დაკავშირებულია ელექტრონული მონიტორინგის მეშვეობით აღსრულებასთან) გამოყენების, შეცვლის ან მასზე უარის თქმის შესახებ. ამასთანავე, განჩინებაში ზუსტად უნდა მიეთითოს: რა არის განჩინების არსი და ვისზე ვრცელდება განჩინება; მტკიცებულებები, რომლებზე დაყრდნობითაც მოსამართლე დარწმუნდა აღკვეთის ღონისძიების/აღკვეთის ღონისძიების ქვეშ მყოფი პირის მიმართ შესაბამისი დამატებითი ღონისძიების გამოყენების, შეცვლის ან გაუქმების აუცილებლობაში; რომელი თანამდებობის პირი ან ორგანოა ვალდებული, შეასრულოს განჩინება; დაზარალებულის მიერ ელექტრონული ზედამხედველობის გაუქმების მოთხოვნით პროკურორისათვის მიმართვის შემთხვევაში აღნიშნული ღონისძიების სასამართლოსათვის მიმართვის გარეშე გაუქმების, აგრეთვე 205[1] მუხლის მე-18 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში პროკურორის მიერ დროებითი ნებართვის მიღების შესახებ; განჩინების გასაჩივრების წესი; მოსამართლის ხელმოწერა.

8. აღკვეთის ღონისძიების გამოყენების, შეცვლის ან გაუქმების შესახებ განჩინების 1 ეგზემპლარი რჩება სასამართლოში და თითო ეგზემპლარი გადაეცემა ბრალდებულს ან მის ადვოკატს, გამომძიებელს, პროკურორს, აღკვეთის ღონისძიების აღმასრულებელ დაწესებულებას, ხოლო იმ მსჯავრდებულისთვის, რომელსაც შეფარდებული აქვს არასაპატიმრო სასჯელი, ან პირობით მსჯავრდებულისთვის აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების, შეცვლის ან გაუქმების შესახებ განჩინების 1 ეგზემპლარი ეგზავნება დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნულ სააგენტოს.

9. მხარე უფლებამოსილია ბრალდებულის მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების შეცვლის ან გაუქმების აგრეთვე, აღკვეთის ღონისძიების ქვეშ მყოფი პირის მიმართ დამატებითი ღონისძიების - დაზარალებულთან, მის სამსახურთან და სხვა იმ ადგილებთან, სადაც დაზარალებული იმყოფება, მიახლოების აკრძალვის (როდესაც ეს ღონისძიება დაკავშირებულია ელექტრონული ზედამხედველობის მეშვეობით აღსრულებასთან), აგრეთვე გარკვეულ საათებში გარკვეულ ადგილას ყოფნის ვალდებულების ან გარკვეული ადგილის დაუტოვებლობის ან მასში შეღწევის აკრძალვის (როდესაც ეს ღონისძიებები დაკავშირებულია ელექტრონული მონიტორინგის მეშვეობით აღსრულებასთან) გაუქმების შესახებ შუამდგომლობით მიმართოს მაგისტრატ მოსამართლეს გამოძიების ადგილის მიხედვით. მაგისტრატი მოსამართლე შუამდგომლობის წარდგენიდან 24 საათში, ზეპირი მოსმენის გარეშე წყვეტს შუამდგომლობის დასაშვებობის საკითხს, კერძოდ, წყვეტს, რა ახალი, არსებითი მნიშვნელობის მქონე საკითხებია დასმული და მტკიცებულებებია წარმოდგენილი, რომლებიც შეიძლება მიუთითებდეს გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების შეცვლის ან გაუქმების, აგრეთვე აღკვეთის ღონისძიების ქვეშ მყოფი პირის მიმართ შესაბამისი დამატებითი ღონისძიების გაუქმების შესაძლებლობაზე.

შუამდგომლობის დასაშვებობის თაობაზე მაგისტრატ მოსამართლეს გამოაქვს განჩინება. შუამდგომლობის დასაშვებად ცნობის შემთხვევაში სასამართლო ატარებს ზეპირ მოსმენას ამ კოდექსით დადგენილ ვადაში, ამ მუხლით დადგენილი წესითა და სტანდარტით.

10. აღკვეთის ღონისძიების გამოყენების, შეცვლის ან გაუქმების, აგრეთვე, აღკვეთის ღონისძიების ქვეშ მყოფი პირის მიმართ დამატებითი ღონისძიების - დაზარალებულთან, მის სამსახურთან და სხვა იმ ადგილებთან, სადაც დაზარალებული იმყოფება, მიახლოების აკრძალვის (როდესაც ეს ღონისძიება დაკავშირებულია ელექტრონული ზედამხედველობის მეშვეობით აღსრულებასთან), აგრეთვე გარკვეულ საათებში გარკვეულ ადგილას ყოფნის ვალდებულების ან გარკვეული ადგილის დაუტოვებლობის ან მასში შეღწევის აკრძალვის (როდესაც ეს ღონისძიებები დაკავშირებულია ელექტრონული მონიტორინგის მეშვეობით აღსრულებასთან) გამოყენების ან გაუქმების საკითხის განხილვისას მტკიცების ტვირთი ყველა შემთხვევაში ბრალდების მხარეს ეკისრება.

11. დაპატიმრების შერჩევის შესახებ შუამდგომლობა სასამართლოს შეიძლება წარედგინოს ბრალდებულის მიმალვის შემთხვევაშიც, ამ კოდექსით გათვალისწინებული წესით. ასეთ შემთხვევაში დაპატიმრების შემდეგ ბრალდებული გამოძიების ადგილას მიყვანიდან არა უგვიანეს 48 საათისა უნდა წარედგინოს მაგისტრატ მოსამართლეს გამოძიების ადგილის მიხედვით. ეს ვადა სტიქიური უბედურების დროს ან სხვა დაუძლეველი ძალის მოქმედებისას, აგრეთვე ბრალდებულის ჯანმრთელობის მდგომარეობის მკვეთრი გაუარესების დროს, რაც დადასტურებულია სამედიცინო ცნობით, რის გამოც შეუძლებელია ბრალდებულის წარდგენა შესაბამის სასამართლოში, შეიძლება გაგრძელდეს არა უმეტეს 15 დღით, ხოლო ძებნილი ბრალდებულის უცხოეთში დაკავების შემთხვევაში საქართველოში გამოძიების ადგილზე ჩამოყვანიდან არა უგვიანეს 48 საათისა იგი უნდა წარედგინოს შესაბამის სასამართლოს. მოსამართლე ისმენს მხარეთა განმარტებებს, რის შემდეგაც იღებს გადაწყვეტილებას აღკვეთის ღონისძიების გაუქმების, შეცვლის ან ძალაში დატოვების შესახებ.

12. სასამართლო აცხადებს ამ მუხლით გათვალისწინებულ საკითხებზე გამოტანილი განჩინების სარეზოლუციო ნაწილს. თუ ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა ან გადაადგილების შეზღუდვაა (რაც დაკავშირებულია დღე-ღამის განმავლობაში 18 საათით ან მეტი ვადით საცხოვრებელი ადგილიდან გასვლის აკრძალვასთან) გამოყენებული, მოსამართლე ზეპირად, მოკლედ განუმარტავს მხარეებს, თუ რა მტკიცებულებების საფუძველზე გამოიყენა მან აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა და რატომ მიიჩნია, რომ ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიებით აღკვეთის ღონისძიების მიზანი ვერ მიიღწეოდა, აგრეთვე, თუ რა მტკიცებულებების საფუძველზე გამოიყენა მან აღკვეთის ღონისძიების სახით გადაადგილების შეზღუდვა (რაც დაკავშირებულია დღე-ღამის განმავლობაში 18 საათით ან მეტი ვადით საცხოვრებელი ადგილიდან გასვლის აკრძალვასთან) და რატომ მიიჩნია, რომ ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიებით ან ამ აღკვეთის ღონისძიების ნაკლებად მზღუდავი ფორმით გამოყენებისას აღკვეთის ღონისძიების მიზანი ვერ მიიღწეოდა.“;

13. 207-ე მუხლის პირველი-მე-4 ნაწილები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. აღკვეთის ღონისძიების გამოყენების, შეცვლის ან გაუქმების, აგრეთვე აღკვეთის ღონისძიების ქვეშ მყოფი პირის მიმართ დამატებითი ღონისძიების - დაზარალებულთან, მის სამსახურთან და სხვა იმ ადგილებთან, სადაც დაზარალებული იმყოფება, მიახლოების აკრძალვის (როდესაც ეს ღონისძიება დაკავშირებულია ელექტრონული ზედამხედველობის მეშვეობით

აღსრულებასთან), აგრეთვე გარკვეულ საათებში გარკვეულ ადგილას ყოფნის ვალდებულების ან გარკვეული ადგილის დაუტოვებლობის ან მასში შეღწევის აკრძალვის (როდესაც ეს ღონისძიებები დაკავშირებულია ელექტრონული მონიტორინგის მეშვეობით აღსრულებასთან) გამოყენების ან გაუქმების შესახებ განჩინება, შეიძლება ერთჯერადად, მისი გამოტანიდან 48 საათში სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში გაასაჩივროს პროკურორმა, ბრალდებულმა ან/და მისმა ადვოკატმა. საჩივარი შეიტანება განჩინების გამომტან სასამართლოში, რომელიც ამ საჩივარსა და მასალებს დაუყოვნებლივ უგზავნის შესაბამის სასამართლოს განსჯადობის მიხედვით. გასაჩივრება არ აჩერებს განჩინების აღსრულებას.

2. საჩივარში უნდა აღინიშნოს, რა მოთხოვნები დაირღვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიღებისას და რით გამოიხატა გასაჩივრებული გადაწყვეტილების დებულებათა მცდარობა. აღკვეთის ღონისძიებასთან აგრეთვე, აღკვეთის ღონისძიების ქვეშ მყოფი პირის მიმართ გამოყენებულ დამატებითი ღონისძიებასთან - დაზარალებულთან, მის სამსახურთან და სხვა იმ ადგილებთან, სადაც დაზარალებული იმყოფება, მიახლოების აკრძალვასთან (როდესაც ეს ღონისძიება დაკავშირებულია ელექტრონული ზედამხედველობის მეშვეობით აღსრულებასთან), აგრეთვე გარკვეულ საათებში გარკვეულ ადგილას ყოფნის ვალდებულებასთან ან გარკვეული ადგილის დაუტოვებლობის ან მასში შეღწევის აკრძალვასთან (როდესაც ეს ღონისძიებები დაკავშირებულია ელექტრონული მონიტორინგის მეშვეობით აღსრულებასთან) დაკავშირებულ საჩივარში შესაძლოა აგრეთვე მიეთითოს, რა არსებითი მნიშვნელობის მქონე საკითხები და მტკიცებულებები არ გამოიკვლია ან არ შეაფასა ამ კოდექსით დადგენილი წესით პირველი ინსტანციის სასამართლომ, რომლებსაც შეეძლო ზეგავლენა მოეხდინა პირისათვის აღკვეთის ღონისძიების, აგრეთვე აღკვეთის ღონისძიების ქვეშ მყოფი პირის მიმართ შესაბამისი დამატებითი ღონისძიების შეფარდების მართლზომიერებაზე.

3. საჩივრის განხილვის დღე და დრო გონივრულ ვადაში ეცნობება მხარეებს.

4. სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის მოსამართლე საჩივარს განიხილავს ერთპიროვნულად, ამ კოდექსის 206-ე მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილი წესით, მისი შეტანიდან არაუგვიანეს 72 საათისა. მოსამართლე ზეპირი მოსმენის გარეშე წყვეტს აღკვეთის ღონისძიებასთან, აგრეთვე აღკვეთის ღონისძიების ქვეშ მყოფი პირის მიმართ დამატებითი ღონისძიების - დაზარალებულთან, მის სამსახურთან და სხვა იმ ადგილებთან, სადაც დაზარალებული იმყოფება, მიახლოების აკრძალვასთან (როდესაც ეს ღონისძიება დაკავშირებულია ელექტრონული ზედამხედველობის მეშვეობით აღსრულებასთან), აგრეთვე გარკვეულ საათებში გარკვეულ ადგილას ყოფნის ვალდებულებასთან ან გარკვეული ადგილის დაუტოვებლობის ან მასში შეღწევის აკრძალვასთან (როდესაც ეს ღონისძიებები დაკავშირებულია ელექტრონული მონიტორინგის მეშვეობით აღსრულებასთან) დაკავშირებული საჩივრის დასაშვებობის საკითხს, კერძოდ, წყვეტს, აკმაყოფილებს თუ არა საჩივარი ამ მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების მოთხოვნებს, ამასთანავე, გამოიკვლია თუ არა ან შეაფასა თუ არა მან ამ კოდექსით დადგენილი წესით არსებითი მნიშვნელობის მქონე მტკიცებულება, რომელსაც შეეძლო ზეგავლენა მოეხდინა პირისათვის აღკვეთის ღონისძიების, აგრეთვე აღკვეთის ღონისძიების ქვეშ მყოფი პირის მიმართ შესაბამისი დამატებითი შეფარდების მართლზომიერებაზე. საჩივრის დასაშვებობის თაობაზე მოსამართლეს გამოაქვს დასაბუთებული განჩინება.“;

14. 208-ე მუხლის მე-4 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. თუ ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გადაადგილების შეზღუდვა (რაც დაკავშირებულია დღე-ღამის განმავლობაში 18 საათით ან მეტი ვადით საცხოვრებელი ადგილიდან გასვლის აკრძალვასთან) ან პატიმრობაა გამოყენებული, ამ მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად წინასასამართლო სხდომის გამართვის ვადის გაგრძელების შესახებ შუამდგომლობის დაკმაყოფილების შემთხვევაში, მისი დაკმაყოფილებიდან არაუგვიანეს 72 საათისა სასამართლო იწვევს მხარეებს, რათა დაადგინოს, აუცილებელია თუ არა აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებული გადაადგილების შეზღუდვის ან პატიმრობის ძალაში დატოვება. ამ საკითხის გადაწყვეტისას სასამართლო ხელმძღვანელობს ამ კოდექსის 206-ე მუხლით დადგენილი წესითა და სტანდარტით.“;

15. 219-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„ბ) ამ კოდექსის 206-ე მუხლით დადგენილი წესითა და სტანდარტით განიხილავს აღკვეთის ღონისძიების გამოყენების, შეცვლის ან გაუქმების შესახებ შუამდგომლობას. თუ ბრალდებულს გადაადგილების შეზღუდვა (რაც დაკავშირებულია დღე-ღამის განმავლობაში 18 საათით ან მეტი ვადით საცხოვრებელი ადგილიდან გასვლის აკრძალვასთან) ან პატიმრობა აქვს შეფარდებული, მოსამართლე ვალდებულია პირველივე წინასასამართლო სხდომაზე თავისი ინიციატივით განიხილოს გადაადგილების შეზღუდვის ან პატიმრობის ძალაში დატოვების აუცილებლობის საკითხი, მიუხედავად იმისა, დააყენა თუ არა მხარემ შუამდგომლობა გადაადგილების შეზღუდვის ან პატიმრობის შეცვლის ან გაუქმების შესახებ. ამის შემდეგ სასამართლო ვალდებულია თავისი ინიციატივით ორ თვეში ერთხელ მაინც განიხილოს გადაადგილების შეზღუდვის ან პატიმრობის ძალაში დატოვების აუცილებლობის საკითხი;“;

16.230[1] მუხლის:
ა) სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„**მუხლი 230[1]. აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებული გადაადგილების შეზღუდვის ან პატიმრობის საკითხის გადაწყვეტა საქმის არსებითი განხილვის დროს**“;

ბ) პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„1. თუ ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გადაადგილების შეზღუდვა (რაც დაკავშირებულია დღე-ღამის განმავლობაში 18 საათით ან მეტი ვადით საცხოვრებელი ადგილიდან გასვლის აკრძალვასთან) ან პატიმრობაა გამოყენებული, სასამართლო სხდომის თავმჯდომარე განაჩენის გამოტანამდე თავისი ინიციატივით პერიოდულად, ორ თვეში ერთხელ მაინც განიხილავს აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებული გადაადგილების შეზღუდვის ან პატიმრობის ძალაში დატოვების აუცილებლობის საკითხს. ეს ორთვიანი ვადა აითვლება წინასასამართლო სხდომის მოსამართლის მიერ აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებული გადაადგილების შეზღუდვის ან პატიმრობის ძალაში დატოვების შესახებ გადაწყვეტილების მიღების დღიდან. ამ ნაწილით გათვალისწინებული საკითხის გადაწყვეტისას სასამართლო ხელმძღვანელობს ამ კოდექსის 206-ე მუხლით დადგენილი წესითა და სტანდარტით.“;

17. 263-ე მუხლის მე-7 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„7. თუ ვერდიქტი მთლიანად გამამართლებელია, დაპატიმრებული ბრალდებული დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს. თუ ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებულია

გადაადგილების შეზღუდვა, გამამართლებელი ვერდიქტის გამოცხადებისთანავე აღნიშნული ღონისძიება უქმდება. ამ ნაწილით გათვალისწინებული გადაწყვეტილების შესახებ სასამართლო დაუყოვნებლივ აცნობებს დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს. სხდომის თავმჯდომარე ვალდებულია გამამართლებელი ვერდიქტის გამოცხადებისთანავე გამოიტანოს გამამართლებელი განაჩენი.“;

18. 269-ე მუხლის მე-4 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„4. მოსახდელი სასჯელის დანიშვნით გამამტყუნებელი განაჩენის დადგენისას სასამართლომ ზუსტად უნდა განსაზღვროს სასჯელის სახე, ზომა და სასჯელის მოხდის ვადის დაწყება. პირის დაკავების, საცხოვრებელი ადგილის დატოვების აკრძალვის (რაც დაკავშირებულია დღე-ღამის განმავლობაში 18 საათით ან მეტი ვადით საცხოვრებელი ადგილიდან გასვლის აკრძალვასთან), პატიმრობისა და ექსპერტიზისათვის სამედიცინო დაწესებულებაში ყოფნის ვადა ითვლება სასამართლოს მიერ დანიშნული სასჯელის ვადაში.“;

19. 274-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„ვ) გადაწყვეტილება სასჯელის ვადაში დაკავების, საცხოვრებელი ადგილის დატოვების აკრძალვის (რაც დაკავშირებულია დღე-ღამის განმავლობაში 18 საათით ან მეტი ვადით საცხოვრებელი ადგილიდან გასვლის აკრძალვასთან), პატიმრობისა და სამედიცინო დაწესებულებაში ექსპერტიზისათვის ყოფნის ვადის ჩათვლის შესახებ;“;

20. 287-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„ა) დააზუსტოს დაკავების, საცხოვრებელი ადგილის დატოვების აკრძალვისა (რაც დაკავშირებულია დღე-ღამის განმავლობაში 18 საათით ან მეტი ვადით საცხოვრებელი ადგილიდან გასვლის აკრძალვასთან) და დაპატიმრების თარიღები, აგრეთვე ვადა, რომელიც ჩაითვალა სასჯელის დანიშვნისას;“;

21. კოდექსს დაემატოს შემდეგი შინაარსის 332^6 მუხლი:
„**მუხლი 332^6**. 2026 წლის 1 იანვრამდე აღკვეთის ღონისძიების - გადაადგილების შეზღუდვის გამოყენების დროებითი წესი

2026 წლის 1 იანვრამდე გადაადგილების შეზღუდვა არ გამოიყენება მძიმე დანაშაულისთვის ბრალდებული პირის მიმართ, აგრეთვე, არაძალადობრივი, განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისთვის ბრალდებული ხანდაზმულობას მიღწეული პირის (ქალი – 65 წლიდან, მამაკაცი – 70 წლიდან) მიმართ.“.

მუხლი 2
1. საქართველოს იუსტიციის მინისტრმა ამ კანონის ამოქმედებიდან 90 დღის ვადაში უზრუნველყოს კანონქვემდებარე აქტის გამოცემა, რომლითაც განისაზღვრება:
ა) ელექტრონული ზედამხედველობისა და ელექტრონული მონიტორინგის აღსრულების წესი და პირობები, მათ შორის, ელექტრონული ზედამხედველობისა და ელექტრონული მონიტორინგის განხორციელებისთვის აუცილებელი ელექტრონული საშუალების სახეები;

ბ) ელექტრონული მონიტორინგის განხორციელების ყოველთვიური გადასახდელის ოდენობა, მისი გადახდის წესი და პირობები;
გ) ელექტრონული მონიტორინგის საშუალების დაზიანებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების უზრუნველყოფის ღონისძიებები;
დ) ელექტრონული ზედამხედველობისა და ელექტრონული მონიტორინგის განსახორციელებლად აუცილებელი ორგანიზაციულ-ტექნიკური, პროგრამული და ინფრასტრუქტურული ღონისძიებების განხორციელება;
ე) კანონქვემდებარე აქტების ამ კანონთან შესაბამისობაში მოყვანა.
2. საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ ამ კანონის ამოქმედებიდან 90 დღის ვადაში უზრუნველყოს მოსამართლეთა გადამზადება ელექტრონული მონიტორინგისა და ელექტრონული ზედამხედველობის განხორციელების საკითხებზე.

მუხლი 3
1. ეს კანონი, გარდა ამ კანონის პირველი მუხლისა, ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.
2. ამ კანონის პირველი მუხლი ამოქმედდეს 2024 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი **სალომე ზურაბიშვილი**